



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

09/10/2025

N 161

თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის პირობებისა და პარამეტრების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2024 წლის 8 აპრილის №1 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მისაღები სასესხო ფასიანი ქაღალდის ემიტენტის მინიმალურ საკრედიტო რეიტინგად განისაზღვროს Standard & Poors (S&P), Moody's, Fitch და Scope Ratings საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული ბოლო საჯაროდ ხელმისაწვდომი საკრედიტო რეიტინგები შემდეგი პირობებით:
 - ერთი საკრედიტო რეიტინგის შემთხვევაში გამოიყენება თავად ეს რეიტინგი;
 - 2 ან/და 3 საკრედიტო რეიტინგის შემთხვევაში გამოიყენება მეორე საუკეთესო რეიტინგი.
- დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და მათზე დარიცხული პროცენტის ან/და დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფ აქტივებთან შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მისაღები სესხის უზრუნველყოფის სახეობა	სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი	საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და მათზე დარიცხული პროცენტის ან/და დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების ნომინალურ
--	--	--

				ღირებულებასთან აქტივების ნარჩენი ვადიანობის (წელი) მიხედვით		
		S&P, Fitch და Scope Ratings შკალა	Moody's შკალა	2 წლამდე	2 წლიდან 5 წლამდე	5 წელი და მეტი
1	საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	-	-	95%	95%	95%
2	საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	AAA, AA+, AA, AA-	Aaa, Aa1, Aa2, Aa3	95%	95%	95%
		A+, A, A-, BBB+, BBB	A1, A2, A3, Baa1, Baa2	90%	90%	90%
3	იპოთეკით დაცული ობლიგაციები (შემდგომში - იპოთეკური ობლიგაციები), რომელიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2024 წლის 8 აპრილის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის მართვის დებულების“ (შემდგომში - დებულების) მე-4 მუხლის მე- 2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნებს	≥ BB-	≥ Ba3	92%	92%	90%
4	იპოთეკური ობლიგაციები, რომელიც შეესაბამება დებულების მე-4 მუხლის მე- 2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნებს და გამოშვებულია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისთვის	≥ BB-	≥ Ba3	87%	87%	85%
5	კორპორატიული ობლიგაციები, რომელიც	AAA ≤ BBB-	AAA ≤ Baa3	90%	85%	80%

	შეესაბამება დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს	BB+ ≤ BB-	Ba1 ≤ Ba3	85%	80%	75%
		B +	B1	80%	75%	70%
6	სასესხო აქტივები, რომელიც შეესაბამება დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს	-	-	80%	80%	80%

3. თუ იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტს არ აქვს ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული მინიმალური საკრედიტო რეიტინგი, მაშინ თვით ამ იპოთეკურ ობლიგაციას უნდა ჰქონდეს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული სულ მცირე ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შესაბამისი რეიტინგი.
4. 2026 წლის 1 იანვრიდან თუ ობლიგაციები სრულად აკმაყოფილებს დებულების მოთხოვნებს და ამავდროულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 21 აგვისტოს №197/04 ბრძანებით დამტკიცებული „მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის“ მოთხოვნებს, ასეთი ობლიგაციებისთვის ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლები გაიზარდოს 2,5 პროცენტული პუნქტით.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და დღის შიდა სესხის უზრუნველყოფად მისაღები, დებულების მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული აქტივების (იპოთეკური ობლიგაციები და სასესხო აქტივები) მაქსიმალური ჯამური მოცულობა თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის (შემდგომში - ბანკი) არ უნდა აღემატებოდეს ბოლო კვარტალური ანგარიშგებით არსებული ბანკის მთლიანი აქტივების 5%-ს.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მიღების მიზნით განსაზღვრულ ემიტენტებად საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები.
7. დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისი კორპორატიული ობლიგაციებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში არ მიიღება თითოეული ბანკიდან ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებული და ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ერთი საიდენტიფიკაციო ნომრის მქონე კორპორატიული ობლიგაციის 25%-ზე მეტი ოდენობა.
8. 2022 წლის 1 ივნისის შემდეგ გამოშვებული ცვალებადგანაკვეთიანი სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მიიღება მხოლოდ TIBR ინდექსებზე მიბმული ცვალებადგანაკვეთიანი სასესხო ფასიანი ქაღალდი.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მისაღები ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სასესხო აქტივების დაგირავება განხორციელდეს შემდეგნაირად:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკი აღარ დაიგირავებს ბანკების მიერ 2023 წლის 1 ივლისის შემდეგ გაცემულ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებულ სესხებს;

ბ) 2026 წლის 1 იანვრიდან ბანკების მიერ გაცემული ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხებიდან საქართველოს ეროვნული ბანკი დაიგირავებს მხოლოდ TIBR-ზე ინდექსირებულ სესხებს;

გ) 2023 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 იანვრამდე გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად შეამცირებს ბანკების მიერ 2023 წლის 1 ივლისამდე გაცემული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებული სესხების დაგირავებას შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

№	სასესხო აქტივების დაგირავების პერიოდი	საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე ინდექსირებული სესხების წილი 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირების სასესხო აქტივების მოცულობასთან
I	2023 წელი, ივლისი - დეკემბერი	90%
II	2024 წელი, იანვარი - დეკემბერი	70%
III	2025 წელი, იანვარი - ივნისი	50%
IV	2025 წელი, ივლისი - დეკემბერი	25%
V	2026 წლის იანვრიდან	0%

10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის პირობებისა და პარამეტრების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 1 თებერვლის №54 განკარგულება.

11. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი

